საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF GEORGIA

KA060158990176213

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

 # 2212 **01 / ოქტომბერი / 2013 წ.**

ააიპ ,,მწვანე ალტერნატივა''-ს აღმასრულებელ
დირექტორს ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მიმდინარე წლის 18 სექტემბერს შემოსული N04/02-155 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ, გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია, განცხადებაში მითითებულ შემდეგი ობიექტების ექსპლუატაციაზე: შპს „მტკვარი ენერგეტიკა"-ს თბოელექტროსადგურის მე-9 ენერგობლოკი, შპს „ჯიფაუერი"-ს 110 მგვტ სიმძლავრის აირტურბინული თბოელექტროსადგური, შპს „საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)"-ს 13,2 მგვტ სიმძლავრის თბოელექტროსადგური, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის" თბოელექტროსადგური (თბილსრესის მე-3 და მე-4 ენერგობლოკები), სს „ხრამჰესი-1"-ს ჰიდროელექტროსადგური „ხრამი-1", სს „ხრამჰესი-2"-ს ჰიდროელექტროსადგური „ხრამი-2", სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს შაორის ჰიდროელექტროსადგური, სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს ძევრულას ჰიდროელექტროსადგური, შპს „ვარციხე 2005"-ს ვარციხის ჰესების კასკადი, სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს რიონის ჰიდროელექტროსადგური, სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს გუმათის ჰიდროელექტროსადგურების კასკადი, სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგური, სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგური (იგივე აწჰესი), სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს ჩითახევის ჰიდროელექტროსადგური, სს „ზაჰესი"-ს ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური, სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს ორთაჭალაჰესი, სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს საცხენისის ჰიდროელექტროსადგური, შპს „ფერი"-ს მცირე სიმძლავრის ხადორი ჰესი-2, საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის ბჟუჟაჰესი, სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს სიონის ჰიდროელექტროსადგური, სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს მარტყოფის ჰიდროელექტროსადგური, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"-ს ალაზანიჰესი, შპს „ლამპარი"-ს ალგეთიჰესი, სს „ზაჰესი"-ს ჩხოროწყუს ჰიდროელექტროსადგური.

ასევე გიგზავნით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულ და თქვენს მიერ კონკრეტულ ობიექტებზე მოთხოვნილ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების ელექტრონულ ვერსიებს (კომპაქტ დისკი თან ახლავს).

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით

- 2010 წლის 17 აგვისტოს სს ,,ზაჰესის" მიმართ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^2-ე მუხლის საფუძველზე შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი №029509 და შესაბამისი სასამართლოს მიერ დაჯარიმებულ იქნა აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში;
- 2010 წლის 10 მაისს შპს ,,ორთაჭალაჰესი 2007" მიმართ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

კოდექსის 79^2-ე მუხლის საფუძველზე შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი №037927 და შესაბამისი სასამართლოს მიერ დაჯარიმებულ იქნა აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში;

- 2010 წლის 11 ნოემბერს სს „ჩითახევი-ბორჯომი" მიმართ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^2-ე მუხლის საფუძველზე შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი №033359 და შესაბამისი სასამართლოს მიერ დაჯარიმებულ იქნა აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში.

აქვე გაცნობებთ, რომ იმ საწარმოების მიმართ, რომლებიც ფუნქციონირებენ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე, დეპარტამენტს დაწყებული აქვს ადმინისტრაციული საქმის წარმოება და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში გატარებულ იქნება კანონით გათვალისწინებული სათანადო ღონისძიებები.

პატივისცემით,

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ინგა ნიკაგოსიანი